

პარლამენტის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს
მოსამართლეთა არჩევა

2021 წლის ივნისი - ივლისი

დემოკრატიის ინდექსი - საქართველო

თბილისი 2021





ანგარიშზე პასუხისმგებელი პირი: ეკატერინე ციმაკურიძე

ანგარიშის ავტორი: მარიამ კაციტაძე

სარჩევი

შესავალი	4
მეთოდოლოგია.....	5
ძირითადი მიგნებები:	6
თავი 1. ზოგადი ვითარების აღწერა	8
თავი 2. მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი	11
2.1. პროცედურული წესები.....	11
2.2. გასაუბრების პროცესი	20
თავი 3. პოლიტიზირების პრობლემა გადაწყვეტილების მიღებისას.....	24
რეკომენდაციები:.....	25

შესავალი

საქართველოს უზენაეს სასამართლოს, როგორც საბოლოო ინსტანციას, უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია როგორც მართლმსაჯულების განხორციელებაში, ისე პრეცედენტის შექმნისა და სამართლის განვითარებაში. მისი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, სახელმწიფოში მართლმსაჯულებისა და სამართლის უზენაესობის ქმედითობა არსებითადაა დამოკიდებული უზენაესი სასამართლოს თითოეული მოსამართლის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე, მათ დამოუკიდებლობაზე, მართლმსაჯულების ძირეული პრინციპებისა და სხვა დემოკრატიული ღირებულებებისადმი მათ მტკიცე ერთგულებაზე.¹ ამდენად, არსებითად მნიშვნელოვანია თუ ვინ იკავებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობას და როგორ ფორმირდება მისი შემადგენლობა.

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად უზენაესი სასამართლოს მოსამართლის კანდიდატურის წარდგენის უფლებამოსილება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიენიჭა და კანდიდატები თანამდებობებზე პარლამენტის მიერ უვადოდ ინიშნებიან.

2021 წლის 25 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ წარდგინებით² მიმართა საქართველოს პარლამენტს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე ასარჩევად წარუდგინა ცხრა კანდიდატი: გიორგი გოგიაშვილი; გოჩა აბუსერიძე; ლევან თევზაძე; ქეთევან მესხიშვილი; გიორგი შავლიაშვილი; რევაზ ნადარაია; ბიძინა სტურუა; ეკა ზარნაძე; ლაშა ქოჩიაშვილი. წინამდებარე ანგარიშში შეფასებულია თუ როგორ ჩაატარა პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში გაანალიზდა პროცესის როგორც შინაარსობრივი, ისე პროცედურული ნაწილი და ორგანიზაციის მიერ გაიცა რეკომენდაციები.

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის N3/1/1459,1491 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-13.

² საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N2 წარდგინება „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენის შესახებ“ - <https://info.parliament.ge/#law-drafting/22419>

მეთოდოლოგია

წინამდებარე დოკუმენტი აფასებს 2021 წლის 25 ივნისს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენილი 9 კანდიდატიდან პარლამენტის მიერ შერჩევის პროცესს. ანგარიში არ მოიცავს საქართველოს პარლამენტში წარსადგენად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატთა შერჩევის პროცესის შეფასებას.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესზე დაკვირვება მიმდინარეობდა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის და პლენარული სხდომების, პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდის ონლაინ მონიტორინგის და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მეშვეობით. მონიტორინგმა მოიცვა 2021 წლის 25 ივნისიდან 2020 წლის 12 ივლისის ჩათვლით პერიოდი, რა ვადაშიც განხორციელდა პარლამენტში შესაბამისი პროცედურები და კენჭი ეყარა კანდიდატურებს.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის და პლენარულ სხდომებს ორგანიზაციის მონიტორები ონლაინ რეჟიმში აკვირდებოდნენ. შეფასება განხორციელდა ორი მიმართულებით:

- კომიტეტის მიერ კანდიდატების შერჩევის პროცესი შეფასდა ჩატარებული პროცედურის კანონთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით; პროცედურული ნაწილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კანონი არ გვთავაზობს საკითხის ზუსტ რეგულირებას, თუმცა კანონს გააჩნია ლეგიტიმური მიზანი, რომლის უნდა მიიღწეს კანონის მიზნიდან გამომდინარე, გონივრულ ფარგლებში მოქმედებით;
- კანდიდატებთან გასაუბრების პროცესი შეფასდა კომიტეტის სხდომაზე დამსწრე ყველა სუბიექტის მიერ კანდიდატებისთვის დასმული შეკითხვების გაანალიზების გზით; საპარლამენტო უმრავლესობისა და საპარლამენტო ოპოზიციის მიერ დასმული შეკითხვები გაანალიზდა როგორც რაოდენობრივი, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. ამ მიზნით, კითხვები დაჯგუფდა შემდეგ კატეგორიებად: ა. ზოგადი კითხვები - კითხვები, რომლებიც არ იყო სამართლებრივი/პროფესიული ხასიათის და ეხებოდა ზოგად მოვლენებს, კანდიდატის მოსაზრებებს და ხედვებს სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში; ბ. სამართლებრივი/პროფესიული კითხვები - კითხვები, რომელზე პასუხის გაცემაც მოითხოვდა სამართლებრივი საკითხების ცოდნას, შემთხვევების სამართლებრივ შეფასებას; გ. კრიტიკული კითხვები - კანდიდატის მხრიდან სავარაუდო კორუფციულ, ინტერესთა შეუთავსებლობის, მოსამართლეთა ეთიკის საწინააღმდეგო ან სხვა სახის სავარაუდო კანონდარღვევასთან

დაკავშირებით დასმული შეკითხვები, კანდიდატის მიერ წარსულში მიღებული გადაწყვეტილებიდან ან მისი წარსული ცხოვრებიდან გამომდინარე; დ. პოლიტიკური შეკითხვები - შეკითხვები, რომლებიც კანდიდატისგან მოითხოვს დააფიქსიროს თავისი განწყობა კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ან მოვლენის მიმართ. დოკუმენტში აღწერილი გასაუბრების პროცესის რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს მხოლოდ პარლამენტის წევრების მიერ დასმულ შეკითხვათა რაოდენობას და არ მოიცავს ძირითადი კითხვის დაზუსტების მიზნით დასმული კითხვების რაოდენობას.

ძირითადი მიგნებები:

კონტექსტი, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსამართლეთა შერჩევის მიმართ საზოგადოების ნდობაზე:

- მოსამართლეების შერჩევა და დანიშვნა მოხდა მიუხედავად მმართველ და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს შორის მოსამართლეთა არჩევის პროცესის გადადების შესახებ მიღწეული შეთანხმებისა, რამაც გარკვეულწილად გამოიწვია პროცესის მიმართ უნდობლობა.
- პროცესი არ ყოფილა ინკლუზიური მუშაობის შედეგი. საპარლამენტო სუბიექტების უმრავლესობამ, სახალხო დამცველმა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმრავლესობამ უარი განაცხადეს პროცესში მონაწილეობაზე.

შერჩევის პროცედურასთან დაკავშირებული ძირითადი მიგნებები:

- კანდიდატთა შესახებ ინფორმაცია გასაუბრების დაწყების დღემდე არ ყოფილა გამოქვეყნებული არც იუსტიციის საბჭოს და არც პარლამენტის მიერ, რაც დამაზიანებელია პროცესში საზოგადოების რეალური ჩართულობისთვის.
- პარლამენტში კანდიდატებთან გასაუბრების ეტაპი ნაჩქარევად ჩატარდა. ხშირად გამსაუბრებლებიც და კანდიდატებიც, ძირითადი და დამატებული დროის სიმცირის გამო, მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას მეტად დაეზუსტებინათ კითხვა ან გაეცათ ამომწურავი პასუხი, რაც ხელისშემშლელი იყო კანდიდატის სრულყოფილი შეფასებისთვის.
- გასაუბრების ჩატარების წესი წერილობითი აქტით არ ყოფილა დადგენილი, ხოლო კომიტეტის სხდომის ოქმი, სადაც ზეპირად შეთანხმდა გასაუბრების პროცედურა, მხოლოდ გასაუბრებების დაწყების შემდგომ გამოქვეყნდა.

- პლენარულ სხდომაზე კანდიდატების ასარჩევად კენჭისყრა გაიმართა ისე, რომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა არ ყოფილა გამოქვეყნებული.

გასაუბრების პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიგნებები:

- პარლამენტის წევრების მხრიდან გამოვლინდა არაერთგვაროვანი მიდგომა კანდიდატებთან მიმართებაში როგორც დასმული კითხვების შინაარსის, ისე გასაუბრების დროის თვალსაზრისით.
- ზოგადი ხასიათის შეკითხვებთან შედარებით, დაისვა ნაკლები სამართლებრივი შეკითხვა. კანდიდატების პროფესიონალიზმის შემოწმება უმეტესად ხდებოდა მარტივი სამართლებრივი შეკითხვების დასმის გზით, რაც ტოვებდა ალქმას, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატები არასათანადოდ მოწმდებოდნენ.
- გასაუბრებები არ იძლეოდა ამა თუ იმ კრიტერიუმით კანდიდატის სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას. დასმული შეკითხვები, მათ შორის დამაზუსტებელი კითხვები და პასუხები ვერ ახდენდა კანდიდატთა კრიტერიუმებთან შესაბამისობის გამოვლენას, ვინაიდან გასაუბრებები ძირითადად არ იყო გამოკითხვის ფორმატის. კეთილსინდისიერების შემოწმების მიზნით დასმული შეკითხვები უმეტესად შაბლონურ ხასიათს ატარებდა.
- საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა მხოლოდ ერთ კანდიდატს დაუსვეს კანდიდატის მიერ წარსულში მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ კრიტიკული შეკითხვები, რითაც მოახდინეს აღნიშნული კანდიდატის მიმართ არაკეთილგანწყობის დემონსტრირება.

მოსამართლეთა დანიშვნების სავარაუდო პოლიტიზირების შესახებ ძირითადი მიგნებები:

- მოსამართლეთა არჩევის საკითხი პლენარულ სხდომაზე ისე გავიდა კენჭსაყრელად, რომ კომიტეტის დასკვნა, კანდიდატებისათვის რეკომენდაციის გაწევა არ გაწევის თაობაზე გამოქვეყნებული არ ყოფილა. ამასთან, მოგვიანებით გამოქვეყნებული კომიტეტის დასკვნა არ შეიცავს დასაბუთებას კანდიდატების შერჩევის შესახებ. აღნიშნული აჩენს ეჭვს, რომ გასაუბრებები პოლიტიკურად დაგეგმილი პროცესის საჯარო შეფუთვა იყო და ის მოკლებული იყო ნამდვილობის მიზანს.
- კანონი არ უზრუნველყოფს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის პოლიტიზირების პრევენციას - მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პარლამენტის წევრთა ხმათა უმრავლესობით, რაც

ხელს არ უწყობს ოპოზიციის ჩართულობას და კონსენსუსის გზით გადაწყვეტილების მიღებას.

თავი 1. ზოგადი ვითარების აღწერა

მიუხედავად მმართველ და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს შორის მოსამართლეთა არჩევის პროცესის გადადების შესახებ მიღწეული შეთანხმებისა (ე.წ. შარლ მიშელის შეთანხმება), მოსამართლეების შერჩევა მოხდა საპარლამენტო ოპოზიციის დიდი ნაწილის ბოიკოტის ფონზე.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებიდან 2021 წლის იანვრამდე, საპარლამენტო ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუცხადა საპარლამენტო მუშაობას.³ შედეგად, პარლამენტში ერთი, მმართველი პარტია იყო წარმოდგენილი. 2021 წლის იანვრიდან საპარლამენტო მანდატები აითვისეს და პარლამენტში შევიდნენ⁴ ოთხი დეპუტატი „პატრიოტთა ალიანსის“ პარტიული სიით ხოლო მოგვიანებით, ორი დეპუტატი პარტია „მოქალაქეების“ სიით⁵ - საერთო ჯამში 6 პარლამენტის წევრი. ცხადია, ეს არ იყო ოპოზიციის სრული წარმომადგენლობა. შექმნილი პოლიტიკური კრიზისის განსამუხტად და ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად, 2021 წლის 19 აპრილს მმართველმა პარტიამ და საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა ხელი მოაწერეს ევროკავშირის შუამავლობით გაფორმებულ შეთანხმებას, რომელსაც მოგვიანებით სხვა ოპოზიციონერებიც შეუერთდნენ.⁶ აღნიშნული შეთანხმების ერთ-ერთი ნაწილის მიხედვით, მხარეები ვალდებულებას იღებდნენ სასამართლოში არსებული პრობლემების მოგვარებამდე შეეჩერებინათ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცესი და გაეტარებინათ რიგი რეფორმები.⁷ მიუხედავად ამისა, პარლამენტმა არ შეაჩერა

³ ოპოზიციამ პარლამენტში არ შედის - რა ხდება შემდეგ?, 02.11.2020. <https://bit.ly/37IbQrV>

⁴ ოთხი დეპუტატი „პატრიოტთა ალიანსის“ სიით პარლამენტში შედის და პარტიას ტოვებს, 05.01.2021. <https://bit.ly/3yPF2sK>

⁵ ელისაშვილი და იოსელიანი ამბობენ, რომ სინდისთან მართლები არიან და პარლამენტში თავაწეული შევიდნენ, 02.07.2021. <https://bit.ly/3m57CmG>

⁶ "სამომავლო გზა საქართველოსთვის" ხელი მოაწერეს: პარტია „ქართული ოცნება“; პარტია „ლელო საქართველოსთვის“; პარტია „გირჩი“; პარტია „მოქალაქეები“; პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლება“; პარტია „ევროპელი სოციალისტები“; პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი“; სალომე სამადაშვილი; გრიგოლ ვაშაძე; პარტია „რესპუბლიკელები“; დავით ბაქრაძე; შალვა შავგულიძე; არმაზ ახვლედიანი; ტარიელ ნაკაიძე; გიორგი ხოჯევანიშვილი; ბექა ლილუაშვილი; ანა ბუჩუკური; მიხეილ დაუშვილი; ალექსანდრე მოწერელია; შალვა კერესელიძე. <https://bit.ly/3zv5HLJ>; <https://bit.ly/3CQ1JQ0>; <https://bit.ly/2Ug3vZi>; <https://bit.ly/2UiNCBv>;

⁷ „19 აპრილის შეთანხმებაში“ ჩამოყალიბებულია მთელი რიგი ვალდებულებები, რომლებიც ეხება უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის პროცესს, მათ შორის: 1) პარლამენტს უნდა წარუდგინოს კანონპროექტი უზენაეს სასამართლოში დანიშვნებთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიის 2019 წლის 24 ივნისის #949/2019 დასკვნის გათვალისწინებით, განსაკუთრებით, რაც ეხება დანიშვნებისადმი ეტაპობრივ მიდგომას, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ღია კენჭისყრას და საბჭოს

მოსამართლეთა შერჩევის პროცესი და საბოლოოდ 6 კანდიდატი უვადოდ აირჩია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე. ამის თაობაზე მმართველმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც განმარტა საპარლამენტო უმრავლესობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველი.⁸

მოსამართლეთა შერჩევის პროცესის შეჩერებაზე უარის თქმას კრიტიკული შეფასებები მოჰყვა თავად ევროკავშირის,⁹ აშშ საელჩოს,¹⁰ ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების,¹¹ აშშ-ს ელჩისა¹² და შარლ მიშელის¹³ მხრიდან.

ზემოთ აღნიშნული გახდა მიზეზი იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესში მონაწილეობის მიღებაზე

მიერ წარდგენების დასაბუთების საჭიროებას; 2) ახალი კანონმდებლობის მიღებამდე ყველა მიმდინარე დანიშვნის შეჩერება; და 3) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირების მიზნით გარკვეული ღონისძიებების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გასაუმჯობესებლად და რომლებსაც, მხარეების შეთანხმებისამებრ, საბოლოოდ ვენეციის კომისიასა და ეუთო/ODIHR-ს წარუდგენენ განსახილველად და შესაფასებლად. „სამომავლო გზა საქართველოსთვის“, <https://bit.ly/3eEZ3KD>

⁸ ირაკლი კობახიძე, არჩილ თალაკვაძე და შალვა პაპუაშვილი განცხადებას ავრცელებენ, 16.07.2021.

<https://bit.ly/3F4lfr>

⁹ „დანიშვნები ეწინააღმდეგება 19 აპრილის შეთანხმების საკვანძო დებულებებს, რომელთა თანახმად უნდა გაკეთდეს პაუზა ყველა მიმდინარე დანიშვნასთან დაკავშირებით, სრულად შესრულდეს ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაცია და ზოგადად გაიზარდოს მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობა, ანგარიშვალდებულება და ხარისხი ფართომასშტაბიანი, ინკლუზიური და ყველა პარტიის მონაწილეობით შემუშავებული რეფორმის პროცესში.“ ევროკომისიის პრეს-სპიკერის განცხადება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით, 14.07.2021. <https://bit.ly/3g3EUih>

¹⁰ „19 აპრილის შეთანხმების ხელმოწერით, მმართველი პარტია და ოპოზიცია შეთანხმდნენ, რომ მოსამართლეთა დანიშვნების პროცესს შეაჩერებდნენ, ასევე ყოვლისმომცველ და ინკლუზიურ სასამართლო რეფორმას“ განახორციელებდნენ, მათ შორის, მიიღებდნენ ახალ კანონმდებლობას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატებზე.“ 23.06.2021. <https://bit.ly/3g3yWxC>

ასევე, „პარლამენტის 12 ივლისის გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში ექვსი მოსამართლის დანიშვნასთან დაკავშირებით, მიუხედავად საქართველოს პოლიტიკურ ლიდერთა 19 აპრილის მკაფიო შეთანხმებისა, „თავი შეიკავონ უზენაეს სასამართლოში არსებული წესებით მოსამართლეთა დანიშვნისგან“ უაღრესად გულდასაწყვეტია.“ 15.07.2021. <https://bit.ly/3ylkrqf>

¹¹ „ მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნას ოპოზიციურ პარტიებთან პოლიტიკური კონსენსუსის საფუძველზე. თუკი ეს შეუძლებელი გახდა, შეაჩეროს მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის პროცესი მართლმსაჯულების სისტემის ფუნდამენტური რეფორმის განხორციელებამდე.“ 17.06.2021. <https://bit.ly/37Hlvie>

¹² კელი დეგნანი - პარლამენტის ხელშია, ხელი შეუწყოს 19 აპრილის შეთანხმებას, რაც ცალსახად გულისხმობს მოსამართლეების შერჩევის პროცესის შეჩერებას - პარლამენტს აქვს შესაბამისი ძალა, რომ ეს პროცესი შეაჩეროს 29.06.2021. <https://bit.ly/36P2qug>

„გავიმეორებ, რომ 19 აპრილის შეთანხმებაში ნათლად არის მოცემული ის თანმიმდევრობა, რაც უნდა განხორციელდეს სასამართლო სისტემის რეფორმისთვის. პირველ რიგში, უნდა განხორციელდეს ინკლუზიური, მრავალპარტიული მსჯელობა სასამართლო რეფორმაზე. განხილვისა და პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტის შემდგომ იქნება შესაბამისი დრო უზენაეს სასამართლოში ახალი კანონმდებლობით გათვლისწინებული დანიშვნების განსახორციელებლად.“ 4.07.2021. <https://bit.ly/3m4k1qY>

¹³ „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნა საქართველოსთვის დაკარგული შესაძლებლობაა“ 19.07.2021. <https://bit.ly/3Alh1Vf>

უარი განაცხადეს: „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“¹⁴, ფრაქცია „ლელომ - პარტნიორობა საქართველოსთვის“¹⁵, ფრაქცია „მარლ მიშელის რეფორმების ჯგუფმა“¹⁶, პოლიტიკურმა ჯგუფმა „გირჩი“.¹⁷ პროცესში მონაწილეობა არ მიუღია სამ უფრაქციო დეპუტატს.¹⁸ პროცესში მონაწილეობა ასევე არ მიუღიათ არასაპარლამენტო სუბიექტების ნაწილს: სახალხო დამცველს¹⁹ და კოალიციას „დამოუკიდებელი და გამჭირვალე მართლმსაჯულებისთვის“²⁰.

საპარლამენტო ოპოზიციის ის ნაწილიც კი, რომელიც მონაწილეობდა გასაუბრებებში, გარდა პოლიტიკური ჯგუფი „ევროპელი სოციალისტების“ წევრისა, კრიტიკულად აფასებდა და არ უცხადებდა მხარდაჭერას მიმდინარე პროცესს.²¹ ნათელია, რომ აღნიშნულის გაგრძელების მომხრე მხოლოდ „ქართული ოცნება“ და პოლიტიკური ჯგუფი „ევროპელი სოციალისტები“ იყვნენ. ამდენად, არც გადაწყვეტილება ყოფილა პარტიათა შორის კონსენსუსის შედეგი.

ყოველივე ზემოხსენებული მიუთითებს პროცესის არადემოკრატიულობასა და მის მიმართ უნდობლობაზე. ასეთ ფონზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების უვადოდ დანიშვნა ძირს უთხრის სასამართლოსადმი ნდობას.

¹⁴ „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მოსმენაში მონაწილეობას არ მიიღებს - <https://bit.ly/3imKbSg>

¹⁵ ფრაქცია „ლელო“ - პარტნიორობა საქართველოსთვის“ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების პროცესში მონაწილეობას არ მიიღებს - <https://bit.ly/3imJrMY>

¹⁶ ფრაქციამ უარი განაცხადა სამუშაო ჯგუფში მონაწილეობაზე და არც გასაუბრებების ეტაპზე მიუღია მონაწილეობა, ამასთან ფრაქციაში შემავალმა პარტიამ „სტრატეგია აღმაშენებელმა“ განაცხადა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მოსმენაში მონაწილეობას არ მიიღებს - <https://bit.ly/3sh3KzS>

¹⁷ „ჩვენ ამ პროცესში მონაწილეობას არ მივიღებთ. ყველა გვეუბნება, რომ პროცესი უნდა შეჩერდეს, ეს იცის ყველამ და შეუძლებელია ასეთ პირობებში სასამართლოს გააჩნდეს ნდობა. ხოლო პროცესი, რომელიც მოსამართლეს არჩევს ნდობის გარეშე, ჩემთვის არ არის საინტერესო.“ - <https://bit.ly/3xMdbZn>

¹⁸ უარი მონაწილეობის არ მიღების თაობაზე პრესასთან გაკეთებულ განცხადებებში არ იძებნება, თუმცა ისინი არ ესწრებოდნენ არც იურიდიულ კომიტეტში მოსმენებს და არც პლენარულ სხდომას კენჭისყრისას - თამარ ჩარკვიანი; თამარ კორძაია; დავით ბაქრაძე. რაც შეეხება პარტია „საქართველოსთვის“ წევრებს, რომლის 6 წევრიცაა წარმოდგენილი პარლამენტში, ორმა - ანა ბუჩუკურმა და მიხეილ დაუშვილმა მიიღეს მონაწილეობა, ამდენად, აღნიშნულით გამოიხატა ამ ჯგუფის მონაწილეობა პროცესში.

¹⁹ „სახალხო დამცველი მონაწილეობას არ მიიღებს პარლამენტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მოსმენაში“, 30.06.2021. <https://bit.ly/37HmOh8>

²⁰ „კოალიცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევ სამუშაო ჯგუფში მონაწილეობას არ მიიღებს“ კოალიციას მონაწილეობა არც მოსმენების ეტაპზე მიუღია. - 2.07.2021. <https://bit.ly/3gmLYGX>

²¹ მიხეილ დაუშვილი - „ცალსახაა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცესი უნდა შეჩერდეს“ 06.07.2021 - <https://bit.ly/3yU0kG0>

ალექო ელისაშვილი - „ქართულმა ოცნებამ“ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით მარლ მიშელის შეთანხმების პუნქტი უგულებელყო, იჩქარა და ეს საკითხი პარლამენტში გაიტანა.“ 16.07.2021. <https://bit.ly/2VVULI9>

თავი 2. მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი

2.1. პროცედურული წესები

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესში ჩართულობის პრობლემა იყო კანდიდატების როგორც ფორმალური შესაბამისობის შემოწმების ეტაპზე, ასევე გასაუბრების პროცესში. კერძოდ, არც სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში და არც კანდიდატებთან გასაუბრების პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ საპარლამენტო ოპოზიციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმრავლესობას, ასევე, სახალხო დამცველს. ამასთან, დაინტერესებული პირების მხრიდან ონლაინ რეჟიმში შესული კითხვები შერჩევითად გაჟღერდა,²² რამაც დატოვა შთაბეჭდილება, რომ ამ პროცესს მხოლოდ ფორმალური დატვირთვა ჰქონდა.

გარდა ჩართულობის პრობლემისა, გამოწვევას წარმოადგენდა პროცესის გამჭვირვალობის ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით პროცესი საჯაროობის კრიტერიუმს აკმაყოფილებდა სხდომათა შესახებ ინფორმაციის დროულად გავრცელებით, მათი პირდაპირ ეთერში ტრანსლირებით, სხდომის ოქმებისა და მოსამართლეთა შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებით, გამჭვირვალობა მაინც პრობლემურ საკითხად იდგა. კერძოდ, კანდიდატების შესახებ ინფორმაციის გასაუბრებების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გამოქვეყნებამ ვერ უზრუნველყო სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობა, ჰქონოდათ გონივრული ვადა კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის გაცნობისათვის.²³

გარდა ამისა, მოსამართლეთა არჩევის საკითხი პლენარულ სხდომაზე ისე გავიდა კენჭსაყრელად, რომ კომიტეტის დასკვნა, კანდიდატებისათვის რეკომენდაციის გაწევა არ გაწევის თაობაზე გამოქვეყნებული არ ყოფილა. ამასთან, მოგვიანებით გამოქვეყნებული კომიტეტის დასკვნა არ შეიცავს კომიტეტის დასაბუთებას

²² იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა, კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით ვინაიდან შემოსული იყო 11 შეკითხვა მათ გონივრულობის ფარგლებში გააჟღერებდა. 06.07.2021. <https://bit.ly/3oouVT9>

²³ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2021 წლის 16 აგვისტოს მოწოდებული N 655/2218-03-ო წერილის მიხედვით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არ ითვალისწინებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი კანდიდატის შესახებ იმ ინფორმაციის გამოქვეყნებას, რომელიც ამავე კანონის 34² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე წარდგინებასთან ერთად ეგზავნება საქართველოს პარლამენტს. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნება არ განხორციელებულა, ამასთან, ინფორმაცია მოთხოვნის შემთხვევაში გაიცემა ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე.“

თითოეული კანდიდატის შერჩევის შესახებ. ამდენად, პარლამენტის წევრებმა მხარი დაუჭირეს მოსამართლეობის კანდიდატებს ისე, რომ არ ჰქონდათ კომიტეტის შეფასება კანდიდატების პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების შესახებ, რაც გაუგებარს ხდის რა არგუმენტებზე დაყრდნობით მიიღეს მათ გადაწყვეტილება მოსამართლეობის არჩევის შესახებ. აღნიშნული აჩენს ეჭვს, რომ გასაუბრებები პოლიტიკურად დაგეგმილი პროცესის საჯარო შეფუთვა იყო და ის მოკლებული იყო ნამდვილობის მიზანს.

პროცესი ნაჩქარევი იყო და პრობლემური აღმოჩნდა კომიტეტის მიერ დადგენილი გასაუბრების პროცედურა. ერთ დღეში ორ კანდიდატთან გასაუბრებამ შეზღუდა ინტერვიუს სიღრმისეულად და სრულყოფილად ჩატარების შესაძლებლობა. ის, რომ თავდაპირველი პროცედურა არ იყო საკმარისი დასტურდება იმითაც, რომ როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო სუბიექტები ინტერვიუს მიმდინარეობისას ხშირად იყენებდნენ დამატებით დროს. როგორც კანდიდატები, ისე ინტერვიუერები ხშირად მიუთითებდნენ დროის სიმცირეზე რაც განსაზღვრავდა როგორც დასმული შეკითხვების, ისე გაცემული პასუხების ზედაპირულ ხასიათს. დეტალური მსჯელობისთვის დრო არასაკმარისი იყო.

დადებითად უნდა შეფასდეს პროცედურის ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც თავმჯდომარის ინიციატივით სხვადასხვა საპარლამენტო სუბიექტთა დრო დაიყო ბლოკებად და ისინი მონაცვლეობით სვამდნენ კითხვებს, ნაცვლად იმისა, რომ ერთჯერადად ამოეწურათ სრული დრო. ამან შესაძლებელი გახადა ოპოზიციურ პარლამენტართა პროცესში დროული ჩართვა.

კვორუმი, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევისთვისაა დადგენილი,²⁴ დღეს არსებული საპარლამენტო შემადგენლობის პირობებში ვერ უზრუნველყოფს ოპოზიციის ჩართულობას ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის პროცესში, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობებზე კანდიდატთა უვადო გამწესებაა. ეს ცხადია, არ ახალისებს პარტიებს შორის კონსენსუსს და შესაძლებლობას აძლევს მმართველ გუნდს ერთპიროვნულად მიიღოს აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილება.

განხილული მსჯელობიდან გამომდინარე, პრაქტიკულად არ არსებობს მექანიზმები, რომლებიც პროცესს პოლიტიზირებისაგან დაიცავდა.

*ცხრილში მოცემულია ინფორმაცია კანონით დადგენილი წესისა და კომიტეტის მიერ ამ წესის შესრულების შესახებ.

კანონით დადგენილი წესი	კანონით დადგენილი წესის შესრულება
------------------------	-----------------------------------

²⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 204-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

<p><i>იუსტიციის საბჭოს მიერ კანდიდატების წარდგენა:</i></p> <p>საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 34²-ე მუხლის მიხედვით „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქართველოს პარლამენტს უგზავნის წარდგინებას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის ასარჩევად წარდგენის შესახებ. წარდგინებასთან ერთად საქართველოს პარლამენტს ეგზავნება ამ კანონის 34¹ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული განცხადება და თანდართული დოკუმენტები, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ აღნიშნული კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიების შედეგად მიღებული მონაცემები.“</p>	<p><i>შესრულდა:</i></p> <p>იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2021 წლის 25 ივნისს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად პარლამენტს წარუდგინა 9 კანდიდატი და მათ შესახებ ინფორმაცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად.²⁵</p>
<p><i>სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტება:</i></p> <p>პარლამენტის რეგლამენტის 205-ე მუხლის მე-2¹ პუნქტის მიხედვით „პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი პარლამენტის ბიუროს მიერ მისთვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის ასარჩევად წარდგენის შესახებ წარდგინების გადაცემიდან 3 დღის ვადაში ქმნის რეგლამენტის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სამუშაო ჯგუფს.“ ხოლო, 46-ე მუხლის მიხედვით „სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ პარლამენტის წევრები და შესაბამისი დარგის სპეციალისტები“. რეგლამენტი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი</p>	<p><i>შესრულდა არაჯეროვნად:</i></p> <p>მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად დადგენილი პროცედურა არ დარღვეულა, სამუშაო ჯგუფი არ იყო ჩართულობითი: იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 29 ივნისის სხდომაზე იმსჯელეს სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხზე. სამუშაო ჯგუფში წევრობისთვის ადგილები განესაზღვრათ შემდეგ სუბიექტებს: სამუშაო ჯგუფში 13 წევრი განესაზღვრა „ქართულ ოცნებას“, ხოლო ყველა დანარჩენ ფრაქციას, პოლიტიკურ ჯგუფს და პარლამენტის უფრაქციო წევრებს თითო-თითო კვოტა. სამუშაო ჯგუფში კვოტები განისაზღვრა ასევე ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარისთვის, იურიდიული სამსახურის დირექტორისთვის, სახალხო დამცველისთვის, საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის წევრისთვის, ჯონი</p>

²⁵ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N2 წარდგინება „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენის შესახებ“ <https://info.parliament.ge/#law-drafting/22419>

<p>სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტების სპეციალურ და უფრო დეტალურ წესს არ განსაზღვრავს.</p>	<p>ხეცურიანისთვის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკან თამარ ზარანდიასთვის.²⁶</p> <p>სამუშაო ჯგუფის წევრობაზე უარი განაცხადეს შემდეგმა სუბიექტებმა: სამმა ოპოზიციურმა ფრაქციამ („მარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“, „ლელო“ - პარტნიორობა საქართველოსთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“), ერთმა პოლიტიკურმა ჯგუფმა („გირჩი“) და ორმა უფრაქციო დეპუტატმა (თამარ ჩარკვიანი, მიხეილ დაუშვილი).²⁷ მონაწილეობა არ მიუღიათ პროცესში არც „კოალიციას დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ და არც სახალხო დამცველს.</p> <p>იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა კენჭი უყარა სამუშაო ჯგუფის წევრების არჩევის საკითხს და ჯგუფი შემდეგი სუბიექტებით დაკომპლექტდა:</p> <p>ქართული ოცნების 13 წევრისაგან, ერთი საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლისგან, და სამი არასაპარლამენტო სუბიექტისგან (იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი, აკადემიური სფეროს 2 წარმომადგენელი).²⁸</p>
--	--

²⁶ პარლამენტი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას დაადგენს - <https://parliament.ge/media/news/parlamenti-uzenaesi-sasamartlos-mosamartleobis-kandidatebis-sakartvelos-kanonmdeblobis-motkhovnebtan-shesabamisobas-daadgens>

²⁷ იქვე.

²⁸ იურიდიული საკითხთა კომიტეტის N 2-9493/21 დასკვნის თანახმად, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა მიიღეს: ქართული ოცნებიდან - რატი იონათამიშვილი; ანრი ოხანაშვილი; მიხეილ სარჯველაძე; ირაკლი ბერაია; შალვა პაპუაშვილი; ირაკლი ქადაგიშვილი; ნიკოლოზ სამხარაძე; ალუდა ლუღუშაური; ალექსანდრე ტაბატაძე; გიორგი ამილახვარი; გურამ მაჭარაშვილი; ნინო ლაცაბიძე. ოპოზიციიდან: ფრიდონ ინჯია; ლევან ბეჟაშვილი (თუმცა მან კომიტეტის სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში

<p><i>კანდიდატების შესახებ ყველა მასალის კომიტეტის წევრებისთვის გაგზავნა:</i></p> <p>პარლამენტის რეგლამენტის 205-ე მუხლის მე-2² პუნქტის თანახმად „პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი პარლამენტის ბიუროს მიერ მისთვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის ასარჩევად წარდგენის შესახებ წარდგინების გადაცემიდან 1 კვირის ვადაში უზრუნველყოფს ამ წარდგინებისა და თანდართული მასალების კომიტეტის ყველა წევრისთვის გაგზავნას“.²⁹</p>	<p><i>შესრულდა:</i></p> <p>იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ, ანრი ოხანაშვილმა კომიტეტის 29 ივნისის სხდომაზე აღნიშნა, რომ მოსამართლეების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის პაროლი გადაეცათ პარლამენტის წევრებს. მონიტორინგის პროცესში არ გამოვლენილა შემთხვევა, როცა რომელიმე დეპუტატმა მიუთითა, რომ მას მასალებზე წვდომა არ ჰქონია.</p>
<p><i>კანდიდატის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება:</i></p> <p>საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 34¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადების თანახმად „პირის მიერ წარდგენილი განცხადება და დოკუმენტები (მათ შორის, ავტობიოგრაფია) უნდა შეიცავდეს [...] პირის თანხმობას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მის შესახებ ინფორმაციის (მათ შორის, პირის პერსონალური მონაცემების) ამ კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით მოძიებაზე/გადამოწმებაზე და საქართველოს პარლამენტისთვის გადაცემაზე/გასაჯაროებაზე“.³⁰</p>	<p><i>შესრულდა არაჯეროვნად:</i></p> <p>კანდიდატების შესახებ ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა იუსტიციის საბჭოს მიერ, ხოლო პარლამენტმა კანდიდატების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა დაგვიანებით. კერძოდ, პარლამენტის ვებ-გვერდზე მოსამართლეთა შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ პარლამენტში გასაუბრებების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე. ცხადია, ეს ვერ ჩაითვლება გონივრულ ვადად, რა ვადაშიც შესაძლოა დაინტერესებულმა პირმა შეიქმნას წარმოდგენა კანდიდატის შესახებ წარმოდგენილ</p>

მონაწილეობა არ მიიღო, რის შესახებაც სამუშაო ჯგუფის მიერ მუშაობის დაწყებამდე საჯაროდ განაცხადა). არასაპარლამენტო სუბიექტებიდან: რაჟდენ კუპრაშვილი – იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი; ჯონი ხეცურიანი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, აკადემიკოსი; თამარ ზარანდია – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი.

²⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 205-ე მუხლის მე-2² პუნქტი.

³⁰ ინფორმაციის გამოქვეყნების საკითხი პრობლემური იყო 2018-2019 წლებში მიმდინარე დანიშვნების დროსაც. პრობლემად შეფასდა ასევე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთვის“ იმ ინფორმაციის დაფარვა, რომელიც კონკურსის ფარგლებში კანდიდატებმა საბჭოს წარუდგინეს. სახალხო დამცველმა რეკომენდაცია გასცა ამ ინფორმაციის გასაჯაროების თაობაზე. საბჭომ კანდიდატების შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც სახალხო დამცველის, სახელმწიფო ინსპექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მოუსმინა. იმ დრომდე არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, საბჭო კანდიდატების შესახებ ინფორმაციას არ ასაჯაროებდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოტივით.

	<p>ინფორმაციაზე დაყრდნობით და გაეცნოს დოკუმენტაციას.³¹</p> <p>ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მართალია, კანონი არ ითვალისწინებს მოსამართლეთა შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების კონკრეტულ ვადას, თუმცა ივარაუდება, რომ ის გონივრულ ვადაში უნდა განხორციელდეს.</p>
<p><i>სამუშაო ჯგუფის დასკვნა კანდიდატის ფორმალური შესაბამისობის შესახებ:</i></p> <p>პარლამენტის რეგლამენტის 205-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „სამუშაო ჯგუფის მიერ კანდიდატების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი სხდომაზე უსმენს თითოეულ კანდიდატს“. რეგლამენტი არ განსაზღვრავს თუ კონკრეტულად რა ფორმით უნდა მიაწოდოს სამუშაო ჯგუფმა ინფორმაცია კომიტეტს კანდიდატების შესაბამისობის დადგენის შესახებ.</p>	<p><i>შესრულდა არაჯეროვნად:</i></p> <p>2021 წლის 2 ივლისს გამართულ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის, რატი იონათამიშვილის განცხადებით ცხრავე კანდიდატი აკმაყოფილებდა ფორმალურ კრიტერიუმებს. ამასთან, იურიდიული კომიტეტის საბოლოო დასკვნის³² დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ სამუშაო ჯგუფის წევრების შემაჯამებელი მოსაზრება და სამუშაო ჯგუფის შემაჯამებელი სხდომის ოქმი. აღნიშნული დოკუმენტები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ გამხდარა. ამიტომ, საზოგადოებისთვის რთულია სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სრულყოფილად შეფასება.</p>
<p><i>გასაუბრების თარიღების განსაზღვრა:</i></p> <p>პარლამენტის რეგლამენტის 205-ე მუხლის მე-3¹ მუხლის მიხედვით იურიდიულ საკითხთა კომიტეტი „საჯარო სხდომაზე უსმენს თითოეულ კანდიდატს.“ ამასთან, პარლამენტის რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-8 პუნქტის</p>	<p><i>შესრულდა:</i></p> <p>პარლამენტში ინფორმაცია საკმარისი დროით ადრე გავრცელდა სხდომის ჩატარების თარიღების შესახებ და აღნიშნული აისახა ანონსსა და დღის წესრიგში. საპარლამენტო მოსმენების ტრანსლირება ხდებოდა პირდაპირ</p>

³¹ ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული კომიტეტის აპარატის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დაგვიანება გამოიწვია ასატვირთი დოკუმენტაციის დიდმა მოცულობამ.

³² იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა N2-9493/21, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/279091?>

<p>მიხედვით კი „კომიტეტის სხდომის გამართვის თარიღი და დღის წესრიგი განსახილველ საკითხებთან ერთად, სხდომამდე არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე“.</p>	<p>ეთერში, რამაც შესაძლებელი გახადა საზოგადოებისათვის თვალი ედევნებინათ გასაუბრებისათვის.</p>
<p><i>კანდიდატებთან გასაუბრების პროცედურის განსაზღვრა:</i></p> <p>პარლამენტის რეგლამენტის 205-ე მუხლის 3¹ პუნქტის თანახმად, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი ამ მუხლის 2² პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების კომიტეტის ყველა წევრისთვის გაგზავნიდან არაუადრეს 1 კვირისა საჯარო სხდომაზე უსმენს თითოეულ კანდიდატს. კანდიდატების მოსმენა და კითხვა-პასუხი ტარდება სათითაოდ“.</p> <p>პარლამენტის რეგლამენტის 205-ე მუხლის 3² ნაწილის თანახმად კი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის საჯარო სხდომაზე მოსმენის პროცედურას კომიტეტთან შეთანხმებით განსაზღვრავს კომიტეტის თავმჯდომარე.“</p>	<p><i>შესრულდა არაჯეროვნად:</i></p> <p>იურიდიული კომიტეტის 2021 წლის 2 ივლისის სხდომაზე დადგინდა³³, რომ ანბანური თანმიმდევრობის მიხედვით გასაუბრებები კანდიდატებთან დაიწყებოდა 6 ივლისს და დღეში გაესაუბრებოდნენ ორ კანდიდატს.</p> <p>ისეთ მნიშვნელოვან პოზიციაზე არჩევისათვის, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაა ნახევარი დღის განსაზღვრა ერთ კანდიდატთან გასაუბრებისთვის არასაკმარისია სიღრმისეულად კანდიდატის შეფასებისათვის.</p> <p>იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2 ივლისის სხდომაზე განსაზღვრა გასაუბრების პროცედურა, თუმცა რაიმე აქტი აღნიშნულის შესახებ არ გამოუცია. მხოლოდ გასაუბრების პირველი დღის ბოლოს, 6 ივლისს გამოქვეყნდა³⁴ კომიტეტის სხდომის ოქმი, სადაც აღწერილია გასაუბრებების ჩატარების პროცედურა, რომელიც შემდეგნაირად განისაზღვრა³⁵:</p> <p>ყოველ საპარლამენტო ფრაქციას და საპარლამენტო პოლიტიკურ ჯგუფს კანდიდატთან გასაუბრებისთვის მიეცა იმდენი წუთი, პარლამენტის რამდენი წევრიც არის</p>

³³ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომის ოქმი N34 - <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/iuridiuli/oqmebi-2020/2021/34.pdf>

³⁴ აღნიშნული დასტურდება ვებგვერდის მონიტორინგით. სხდომის ოქმის დოკუმენტის შექმნა 6 ივლისით თარიღდება. იხ: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/iuridiuli/oqmebi-2020/2021/34.pdf> ბოლოს შემოწმებულია 20.07.021.

³⁵ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომის ოქმი N34 - <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/iuridiuli/oqmebi-2020/2021/34.pdf>

	<p>გაერთიანებული შესაბამის ფრაქციაში/საპარლამენტო პოლიტიკურ ჯგუფში, მაგრამ არანაკლებ 15 და არაუმეტეს 75 წუთისა.</p> <p>მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრებისთვის დრო განესაზღვრათ შემდეგი არასაპარლამენტო სუბიექტების წარმომადგენლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - საქართველოს სახალხო დამცველი; - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია; - იურიდიული დახმარების სამსახური; - აკადემიური წრეების წარმომადგენლები; - არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები. <p>არასაპარლამენტო სუბიექტებიდან თითოეულს მოსამართლეობის კანდიდატთან გასაუბრებისთვის 15 წუთი (ჯამში 75 წუთი) ჰქონდათ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის გამოყოფილი 15 წუთი აშკარად არათანაბარი იყო სხვა არასაპარლამენტო სუბიექტებისთვის გამოყოფილ დროსთან შედარებით, ვინაიდან, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები ერთ სუბიექტად არ იყვნენ წარმოდგენილნი.</p>
<p><i>მოქალაქეთა ჩართულობა გასაუბრების პროცესში:</i></p> <p>კომიტეტის მიერ ელექტრონულად კითხვების დასმა იყო გამოყენებული, როგორც გასაუბრების პროცედურის შემადგენელი ელემენტი. გასაუბრებაში მონაწილე ყველა სუბიექტის მხრიდან კითხვების დასმის შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარე აჟღერებდა კომიტეტის ფეისბუქ გვერდზე მოქალაქეების მიერ დასმულ კითხვებს.</p>	<p><i>შესრულდა არაჯეროვნად:</i></p> <p>კითხვების დასმის ელექტრონული რეჟიმი არ იყო ღია, შესაბამისად, უცნობია აქტიურობის მაჩვენებელი. ამასთან, შესული კითხვების გაჟღერების დროს კომიტეტის თავმჯდომარე არ ასახელებდა კანდიდატის მიმართ შესული კითხვების ზუსტ საერთო რაოდენობას, თუმცა, რიგ შემთხვევებში აცხადებდა, რომ კითხვებს გააჟღერებდა არა სრულად, არამედ გონივრულობის ფარგლებში.</p>

<p><i>კომიტეტის დასკვნის გამოქვეყნება და შინაარსი:</i></p> <p>პარლამენტის რეგლამენტის 205-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „კომიტეტის სხდომაზე კანდიდატების მოსმენის შემდეგ კომიტეტი შეიმუშავებს დასკვნას. [...] კომიტეტის დასკვნა უნდა შეიცავდეს კომიტეტის რეკომენდაციას რეგლამენტის 204-ე მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირის კანდიდატურის მიმართ. კომიტეტის დასკვნა პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით წარედგინება პარლამენტის ბიუროს და ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე.“</p>	<p><i>შესრულდა არაჯეროვნად:</i></p> <ol style="list-style-type: none"> 1. პლენარულ სხდომაზე მოსამართლეები აირჩიეს ისე, რომ არც 12 ივლისის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომის ოქმი და არც დასკვნა არ იყო გამოქვეყნებული. იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მოსამართლეებთან გასაუბრების ეტაპი 10 ივლისს დასრულდა. 12 ივლისს გაიმართა კომიტეტის სხდომა,³⁶ სადაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 6 კანდიდატს - გოჩა აბუსერიძეს, გიორგი გოგიაშვილს, ლევან თევზაძეს, რევაზ ნადარაიას, ბიძინა სტურუას და ლაშა ქოჩიაშვილს იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა რეკომენდაცია გაუწია. პლენარულ სხდომაზე საკითხის კენჭისყრის დროისთვის კომიტეტის დასკვნა კანდიდატების შესახებ არ იყო გამოქვეყნებული.³⁷ 2. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნაში რეკომენდაციის გაცემის საკითხის თაობაზე დასაბუთების არარსებობა მიუთითებს პროცესის პოლიტიზირებაზე.
<p><i>მოსამართლის არჩევა პლენარულ სხდომაზე:</i></p> <p>პარლამენტის რეგლამენტის 204-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს.</p>	<p><i>შესრულდა, თუმცა პროცესი არ იყო ჩართულობითი:</i></p> <p>პლენარულ სხდომაზე კენჭისყრას არ ესწრებოდნენ უმრავლესობა ოპოზიციური პარტიებისა, კერძოდ: „ლელო“ პარტნიორობა საქართველოსთვის; ნაციონალური მოძრაობა</p>

36 იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 6 კანდიდატს რეკომენდაცია გაუწია - <https://parliament.ge/media/news/iuridiul-sakitkhta-komitetma-uzenaesi-sasamartlos-mosamartleobis-6-kandidats-rekomendatsia-gautsia>

37 პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნების საკითხი, მონიტორინგის ფარგლებში, ბოლოს შემოწმდა 2021 წლის 21 ივლისს.

ძალა ერთობაშია; „გირჩი“; შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი; ასევე არ ესწრებოდა 8 უფრაქციო დეპუტატი.

კენჭისყრის შედეგები აჩვენებს, რომ მოსამართლეთა თანამდებობაზე არჩევა კონსენსუსის შედეგი არ ყოფილა.³⁸

2.2. გასაუბრების პროცესი

პარლამენტის წევრების მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებისთვის დასმული შეკითხვების კატეგორიზაცია და შედეგები

	იქნა თუ არა კანდიდატი მხარდაჭერილი პარლამენტის მიერ	სულ დასმული შეკითხვები	ზოგადი ხასიათის შეკითხვები		სამართლებრივი შეკითხვები		შეკითხვები მიღებულ გადაწყვეტილებებზე / კრიტიკული შეკითხვები		პოლიტიკური ხასიათის შეკითხვები		გასაუბრების ხანგრძლივობა
			უმრავლესობა	ოპოზიცია	უმრავლესობა	ოპოზიცია	უმრავლესობა	ოპოზიცია	უმრავლესობა	ოპოზიცია	
ლევან თევზაძე	კი	73	39	16	5	2	0	3	5	3	3 სთ და 21 წთ
ლაშა ქოჩიაშვილი	კი	64	30	19	5	0	0	3	1	6	3 სთ
ბიძინა სტურუა	კი	69	41	11	11	5	0	0	1	0	3 სთ და 40 წთ
ეკა ზარნაძე	არა	60	26	15	14	4	0	0	0	1	3 სთ და 37 წთ
რევაზ ნადარაია	კი	80	32	24	19	4	0	0	1	0	3 სთ და 14 წთ
გიორგი აბუსერიძე	კი	98	31	38	23	2	0	2	2	0	3 სთ და 35 წთ
გიორგი შავლიაშვილი	არა	70	22	10	28	2	0	1 / 4	3	0	3 სთ და 30 წთ
გიორგი გოგიაშვილი	კი	81	34	27	17	0	0	1	2	0	3 სთ და 20 წთ
ქეთევან მესხიშვილი	არა	110	38	34	21	11	3 / 2	0	1	0	4 სთ და 47 წთ

³⁸ გოჩა აბუსერიძე - 79 ხმა; გიორგი გოგიაშვილი - 79 ხმა; ლაშა ქოჩიაშვილი - 79 ხმა; ბიძინა სტურუა - 78 ხმა; ლევან თევზაძე - 77 ხმა; რევაზ ნადარაია - 77 ხმა; ეკა ზარნაძე - 5 ხმა; ქეთევან მესხიშვილი - 4 ხმა; გიორგი შავლიაშვილი - 3 ხმა. დეტალურად ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/22419>

*ცხრილში თითოეულ კანდიდატთან მიმართებაში მოცემულია ინფორმაცია საპარლამენტო სუბიექტების მიერ დასმული შეკითხვების რაოდენობის, კატეგორიებად დაყოფისა და გასაუბრების დროის შესახებ. შეკითხვების რაოდენობა არ მოიცავს იმ კითხვებს, რომლებიც დაისვა ძირითადი შეკითხვის დაზუსტების მიზნით.

კანდიდატებთან გასაუბრება 5 დღეს გაგრძელდა. პროცესი არ იყო ინკლუზიური, იმდენად, რამდენადაც მასში არ მონაწილეობდნენ რიგი საპარლამენტო, თუ არასაპარლამენტო სუბიექტები. გასაუბრებათა ანალიზისას გამოვლინდა არათანაბარი მოპყრობის შემთხვევები. ზოგადი ხასიათის კითხვებთან შედარებით დაისვა ნაკლები სამართლებრივი შეკითხვები.

გასაუბრებები არ იძლეოდა ამა თუ იმ კრიტერიუმით კანდიდატის სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას. დასმული შეკითხვები, მათ შორის დამაზუსტებელი კითხვები და პასუხები ვერ ახდენდა კანდიდატთა კრიტერიუმებთან შესაბამისობის გამოვლენას ვინაიდან გასაუბრებები, ძირითადად, არ ტარდებოდა გამოკითხვის ფორმატში. ხშირად კეთილსინდისიერების შემოწმების მიზნით დასმული შეკითხვები შაბლონური ხასიათის იყო.³⁹

გასაუბრებისათვის დადგენილი პროცედურის მიხედვით, უმრავლესობას სულ 75 წუთი განესაზღვრა ინტერვიუსათვის, ხოლო ოპოზიციისთვის განსაზღვრული დრო ჯამურად 140 წუთს წარმოადგენდა. აღნიშნული თითქმის ორჯერ აღემატება უმრავლესობისთვის განსაზღვრულ დროს. იმდენად, რამდენადაც მონაწილეობას გასაუბრების პროცესში მხოლოდ ოპოზიციის მცირე რაოდენობა იღებდა, მათ მიერ დასმული შეკითხვების რაოდენობა და ათვისებული დრო უფრო ნაკლები იყო, ვიდრე უმრავლესობის მიერ დასმული შეკითხვები.

გასაუბრების პროცესის შინაარსობრივი ანალიზი ცხადყოფს კანდიდატებისადმი არათანაბარ მიდგომას. აღნიშნული, ერთი მხრივ, კანდიდატებთან გასაუბრებისათვის დათმობილ დროში, ხოლო მეორე მხრივ კითხვების შინაარსში გამოიხატა.

საერთო ჯამში, ზოგადი ხასიათის შეკითხვებთან შედარებით მცირე იყო სამართლებრივი შეკითხვები. ძირითადად სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები

³⁹ დავით მათიკაშვილის შეკითხვა რევაზ ნადარაიას: „ხომ არ ყოფილა მცდელობა თქვენზე პირადად, როგორც მოსამართლეზე რომელიმე საკითხზე, რომელიმე კონკრეტულ ქეისზე თხოვნა ყოფილიყო, მოწოდება ან დავალება რომ ესე მიგედოთ გადაწყვეტილება...?"; გიორგი ამილახვარის შეკითხვა გიორგი შავლიაშვილს: „რაიმე გავლენიანი ჯგუფი არსებობს სასამართლოში რომელიც ზემოქმედებას ახდენს ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობაზე?"; ნინო იობაშვილის შეკითხვა გიორგი გოგიაშვილს: „თუ მიგიღიათ საკადრო გადაწყვეტილება ნეპოტიზმზე ან ქრონიზმის პრინციპებზე დაფუძნებით?"; ვლადიმერ ჩაჩიბაიას შეკითხვა გიორგი აბუსერიძეს: „მოსამართლეებზე ზეწოლის ფაქტები თუ გაქვთ რამე?“

მარტივი იყო და საბაზისო ცოდნას მოითხოვდა.⁴⁰ აღნიშნული აჩენს ვარაუდს, რომ პარლამენტის წევრთა მიზანი არ ყოფილა კანდიდატების შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით. მიუხედავად ამისა, რამდენიმე კანდიდატთან მიმართებაში, რომლებიც საბოლოოდ არ დაინიშნენ თანამდებობაზე, დაისვა რამდენიმე ისეთი სამართლებრივი შეკითხვა, რომლებიც ვიწროდ სპეციფიკური ცოდნის გამოვლენას საჭიროებდნენ, რომლის ცოდნა-არცოდნაც არ შეიძლება მოსამართლის კვალიფიკაციის ობიექტური საზომი იყოს.⁴¹ აღნიშნული თავისთავად დადებითია, ვინაიდან კანდიდატთა შერჩევა საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე ხდება, თუმცა ამასთან მოწმობს, რომ ამგვარი მიდგომა შერჩევითი იყო.

დროის თვალსაზრისით, ყველაზე მეტი შეკითხვა და შესაბამისად ყველაზე მეტი დრო გასაუბრებისთვის ქეთევან მესხიშვილთან დაფიქსირდა, რომელიც საბოლოოდ არ იქნა არჩეული თანამდებობაზე.

კიდევ ერთი საკითხი, რაშიც არათანასწორი მიდგომა გამოვლინდა, კანდიდატებისათვის მათ მიერ მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილებების შესახებ კრიტიკული შეკითხვები იყო. როდესაც საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან სხვა კანდიდატებისთვის თითქმის არ დასმულა არც ერთი ასეთი კითხვა, იმ კანდიდატს, რომელსაც მხარდაჭერა არ გამოუცხადა, გაახსენა მის მიერ მიღებული რამდენიმე გადაწყვეტილება. ერთი მხრივ ოპოზიციის, ხოლო მეორე მხრივ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები საკმაოდ კრიტიკულად აფასებდნენ და სვამდნენ შეკითხვებს კანდიდატთა ნაწილის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე მაშინ, როდესაც უმრავლესობა ამაზე ყურადღებას ძირითადად არ ამახვილებდა. მინიმუმ 5 კანდიდატთან დაფიქსირდა ისეთი შემთხვევა, როდესაც კანდიდატების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იყო პრობლემური და დაისვა კრიტიკული შეკითხვები, მათ შორის იყო გახმაურებული საქმეებიც, მაგრამ ამ შეკითხვების ავტორი საპარლამენტო უმრავლესობა არც ერთხელ არ ყოფილა გარდა ზემოხსენებული ერთი შემთხვევისა.

კახა წიქარიშვილმა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას წარმოადგენდა, რევაზ ნადარაიას არაერთი კრიტიკული შეკითხვა დაუსვა მის იუსტიციის უმაღლეს

⁴⁰ მაგ: რა არის დისკრიმინაცია, აუცილებელი მოგერიება ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა თუ მართლწინააღმდეგობის. რას ნიშნავს აბსტრაქტული ნორმათა და კონკრეტული ნორმათა კონტროლი და სხვა.

⁴¹ ნინო იობაშვილის შეკითხვა ქეთევან მესხიშვილს: „საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის გარდა საერთაშორისო საზღვაო სამართალში რა არის მთავარი წყარო, რომელი კონვენცია და რომელი წლის?"; მიხეილ დაუშვილის შეკითხვა ქეთი მესხიშვილს: „მაგალითისთვის golden parachute, მაგალითად poison pills მაგალითად white knight თუ იცით რა არის და რა ფუნქციები გააჩნია?; გურამ მაჭარაშვილის შეკითხვა გიორგი შავლიაშვილს: „ხომ არ შეგვიძლიათ გვითხრათ საერთაშორისო, იგივე რომის სტატუტიდან გამომდინარე ამსრულებლის და თანამონაწილეობის და საქართველოს კანონმდებლობით თანამონაწილეობით განსხვავება თუ არის და რა არის?“

საბჭოში საქმიანობასთან დაკავშირებით. არასამთავრობო ორგანიზაციების შეკითხვები მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ კრიტიკული იყო, რაც უმრავლესობის შემთხვევაში, ერთი გამონაკლისის გარდა⁴² არ დაფიქსირებულა.

კიდევ ერთი გარემოება, სადაც არათანასწორი მოპყრობა გამოვლინდა არის ერთი და იგივე პარლამენტის წევრის მიერ დასმული მსგავსი შინაარსის კითხვა საკონსტიტუციო წარდგინების გამოყენებაზე, რომელზეც სხვადასხვა კანდიდატებმა გასცეს ასევე მსგავსი პასუხები, რომ საკითხს ღირებულებათა კონფლიქტის შეფასებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად წყვეტენ. მიუხედავად ამისა, ერთ შემთხვევაში დეპუტატმა აღნიშნა - ხომ არ იყო ეს კანდიდატის მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციის შეთავსება მაშინ, როდესაც მეორე კანდიდატთან მიმართებაში მსგავსი საკითხი არ გაჟღერებულა.⁴³

დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პარლამენტის წევრები ინტერვიუს ერთგვარად პოლიტიკური მიზნით იყენებდნენ. ასეთი შეკითხვები კანდიდატისაგან მოითხოვდა შეეფასებინათ ქვეყანაში, მათ შორის სასამართლო სისტემაში არსებული ვითარება 2012 წლამდე და 2012 წლის შემდგომ პერიოდში.

გასაუბრებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ კრიტიკულობით გამოირჩეოდნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. შეკითხვების დიდი ნაწილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებას მიემართებოდა. გასაუბრებისას დაფიქსირდა ორი შემთხვევა, როდესაც ორმა კანდიდატმა, რევაზ ნადარაიამ და ლევან თევზაძემ უარი განაცხადეს ეპასუხათ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა შეკითხვებისათვის. ამასთან დაკავშირებით კომიტეტის თავმჯდომარეს არ გაუკეთებია მოწოდება კანდიდატისთვის, ეპასუხა დასმული შეკითხვებისათვის.

სულ წარდგენილი 9 კანდიდატიდან, 2 კანდიდატი იყო ქალი. არც ერთი მათგანი არ დაინიშნა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანმა გასაუბრებას თავი კარგად გაართვა და დასმულ შეკითხვებზე პასუხისას გამოავლინა, რომ აკმაყოფილებდა როგორც კეთილსინდისიერების, ისე კომპეტენციის კრიტერიუმებს.

⁴² უმრავლესობის წევრმა დეპუტატმა ქეთევან მესხიშვილს დაუსვა შეკითხვები მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

⁴³ ალუდა დუდუშაურის შეკითხვა ერთი მხრივ ქეთევან მესხიშვილს, ხოლო მეორე მხრივ რევაზ ნადარაიას მიემართებოდა.

თავი 3. პოლიტიზირების პრობლემა გადაწყვეტილების მიღებისას

მოქმედი კანონმდებლობით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს.⁴⁴ აღნიშნული მოწესრიგება არ ახალისებს პარტიებს შორის კონსენსუსს და შედეგად, არსებულ საპარლამენტო შემადგენლობაში, შესაძლებელს ხდის ერთპარტიულად იქნას მიღებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი თანამდებობის პირის უვადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობა არ არის პოლიტიკური თანამდებობა⁴⁵, ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესებისა და ბანგალორის პრინციპების მიხედვით, მოსამართლე უნდა იყოს პოლიტიკურად ნეიტრალური.⁴⁶ ამდენად, გადაწყვეტილება ამგვარი პოლიტიკურად ნეიტრალური თანამდებობის დაკავების შესახებ კონსენსუსის გზით უნდა მიიღებოდეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადსაღებია ვენეციის კომისიის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის მსგავს მაღალ პოზიციებზე პირის დანიშვნისას გადაწყვეტილების მიღების პროცესი დეპოლიტიზირებული უნდა იყოს და მაქსიმალურად ეფუძნებოდეს პარტიათაშორის კონსენსუსს.⁴⁷

ამასთან, 2018-2019 წლებში მიმდინარე მოსამართლეთა თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ ეუთო/ოდირმა გასცა რეკომენდაცია⁴⁸ დანიშვნის პროცესის პოლიტიზირების თავიდან ასაცილებლად სამართლებრივი და პროცედურული გარანტიების შემუშავებაზე. სამწუხაროა, მაგრამ ამგვარი პოლიტიზირების რისკები ვერც ამჯერად იქნა დაზღვეული პარლამენტის მიერ და არ ყოფილა დასაბუთებული თუ რის საფუძველზე არ იქნა გაცემული რეკომენდაცია იმ კანდიდატებისათვის, რომლებმაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

⁴⁴ პარლამენტის რეგლამენტის 204-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს.

⁴⁵ საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-3 მუხლის „თ“ და „ი“ პუნქტების მიხედვით „სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრი და მისი მოადგილე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრები და მათი მოადგილეები;“ ხოლო „პოლიტიკური თანამდებობის პირი – სახელმწიფო რწმუნებული, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე;“

⁴⁶ საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსის 26-ე და 27-ე მუხლები.

⁴⁷ EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) PARAMETERS ON THE RELATIONSHIP BETWEEN THE PARLIAMENTARY MAJORITY AND THE OPPOSITION IN A DEMOCRACY: A CHECKLIST, Strasbourg, 24 June 2019, CDL-AD(2019)015 - 139 და შემდგომი პარაგრაფები.

⁴⁸ OSCE საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეორე ანგარიში ივნისი – დეკემბერი 2019, გვ. 34. - https://www.osce.org/files/f/documents/3/1/443497_0.pdf

მხარდაჭერა დაიმსახურეს. ამასთან, სამიდან ორ კანდიდატს, რომლებმაც მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს, იმაზე მეტი ხმა ჰქონდათ მიღებული იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ვიდრე ზოგიერთ თანამდებობაზე არჩეულ კანდიდატს.⁴⁹ აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ გადაწყვეტილება ეფუძნებოდა უფრო მეტად პოლიტიკურ მიზანშეწონილობას და არა გასაუბრების შედეგებსა და კანდიდატთა ობიექტურ შეფასებას. ამას ადასტურებს ისიც, რომ კომიტეტის დასკვნა არ მოიცავს რაიმე არგუმენტაციას, თუ რის საფუძველზე იქნა მიღებული რეკომენდაციების გაცემის შესახებ გადაწყვეტილება.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს:

- განისაზღვროს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტების სპეციალური და დეტალური წესი, რომელიც დაადგენს როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო სუბიექტთა კვოტების ოდენობას, ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიღების კვორუმსა და შემაჯამებელი ოქმის წარდგენის ფორმატს;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის განისაზღვროს კანდიდატების შესახებ ყველა ინფორმაციის გამოქვეყნების მკაფიო ვალდებულება და ის კონკრეტული ვადა, რა ვადამდეც უნდა გამოქვეყნდეს აღნიშნული ინფორმაცია;
- განისაზღვროს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ პლენარულ სხდომაზე რეკომენდაციის გაცემის თაობაზე დასაბუთებული დასკვნის წარდგენის ვალდებულება და ზემოაღნიშნულის დროული გამოქვეყნება;
- კანდიდატის უნარ-ჩვევების გამოვლენის მიზნით გამოსაყენებელი გასაუბრების ტექნიკები და მათი დოკუმენტაციის შესწავლა კანონით დეტალურად უნდა იყოს განსაზღვრული, მათ შორის, ავტორიტეტული საზოგადოებრივი ორგანიზაციების სავალდებულო მონაწილეობის გათვალისწინებით;
- პოლიტიკური მიკერძოების რისკების დაზღვევისთვის კანონმა გაითვალისწინოს ობიექტურ, პროფესიონალ შემფასებელთა არსებობის ვალდებულება, რომლებიც შეისწავლიან მოსამართლის ვიწრო პროფილს და

⁴⁹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინება. 17.06.2021.
<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/277428?>

საერთო სამართლებრივი ფასეულობების ფარგლებში შეამოწმებდნენ მათ კვალიფიკაციას.

- პროცესის პოლიტიზირებისაგან დასაცავად უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ასარჩევად დადგინდეს სრული შემადგენლობის უმრავლესობაზე მაღალი, იმგვარი კვორუმი რაც უზრუნველყოფს ოპოზიციის აუცილებელ მონაწილეობას.